[(ძალადაკარგულია - 24.09.2020, №155) (ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან)]

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №135

2012 წლის 27 ივლისი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

„საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის, მისი დანართების, საქართველოს საჰაერო კოდექსის, „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის №11/583 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნები“.
2. ბრძანება ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან.

დირექტორის პირველი მოადგილე ვ. გოგორიშვილი

დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მუხლი 1. მიზანი და რეგულირების სფერო

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ (შემდგომში – საკვალიფიკაციო მოთხოვნები) მიზანია საქართველოს სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების დონის ამაღლება, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორებისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის გზით.

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ვრცელდება სააგენტოს ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორებზე:

ა) პილოტი-ინსპექტორი (OPS-FOI);
ბ) საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტების ინსპექტორი (OPS);
გ) ექიმი-ინსპექტორი/ავიასამედიცინო შემფასებელი (MED);
დ) ავიასპეციალისტების სერტიფიცირების ინსპექტორი (PEL);
ე) სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულებების ინსპექტორი (ATO);
ვ) საფრენად ვარგისობის შენარჩუნების ზედამხედველობის ინსპექტორი (AIR);
ზ) აეროდრომების ინსპექტორი (AGA);
თ) სახიფათო ტვირთების გადაზიდვის ინსპექტორი (DG);
ი) საავიაციო უშიშროების ინსპექტორი (AVSEC);
კ) საჰაერო მოძრაობის ორგანიზების ინსპექტორი (ATM);
ლ) კავშირგაბმულობის, სანავიგაციო და რადიოსალოკაციო მომსახურების ინსპექტორი (CNS);
მ) მეტეოროლოგიური მომსახურების ინსპექტორი (MET);
ნ) საერნაოსნო ინფორმაციით მომსახურების ინსპექტორი (AIS);
ო) ფრენის პროცედურების დიზაინის ინსპექტორი (PANS-OPS);
პ) საავიაციო რუკების ინსპექტორი (Cartographic);
ჟ) საავიაციო ძებნა-შველის ინსპექტორი (SAR);
რ) საწაფის ინსპექტორი (FSTD-OPS, FSTD-AIR);
ს) საჰაერო ხომალდის სპეციალიზებული ექსპლუატაციის ინსპექტორი (SPO);
ტ) უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატანტის ინსპექტორი (UAS);
უ) ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის საფრენოსნო ექსპლუატაციის და ექსპლუატანტის სერტიფიცირების ინსპექტორი (ULA-OPS);
ფ) ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობის სერტიფიცირების ინსპექტორი (ULA-FCL);
ქ) საერთო დანიშნულების ავიაციის ინსპექტორი (GAU).

3. ამ წესით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ ვრცელდება ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორებზე, რომლებიც ამ ბრძანების ამოქმედებამდე ასრულებდნენ ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორის მოვალეობებს სააგენტოში.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნები გავრცელდება 2016 წლის 1 იანვრიდან.

5. ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორის კვალიფიკაცია პირს ენიჭება სააგენტოს დირექტორის ბრძანებით, ამ წესით დადგენილ საკვალფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენისა და უსაფრთხოების ინსპექტორის მოსამზადებელი პროგრამის გავლის შემდეგ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 23 მაისის ბრძანება №79 - ვებგვერდი, 24.05.2013წ.
სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №228 - ვებგვერდი, 04.12.2018წ.
სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 26 ნოემბრის ბრძანება №185 - ვებგვერდი, 01.12.2020წ.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები

1. ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორებს, კონკრეტული მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების გარდა, დამატებით მოეთხოვებათ:

ა) სახელმწიფო ენის ცოდნა;

ბ) ინგლისური ენის ცოდნა, მოლაპარაკებების წარმართვის, საავიაციო შინაარსის ტექსტების კითხვის, აღქმისა და გადმოცემის დონეზე.

2. ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორის კვალიფიკაციის მისანიჭებლად სავალდებულოა ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორის მომზადების პროგრამის გავლა შესაბამისი განხრით.

3. ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორების მომზადების პროგრამა მტკიცდება სააგენტოს დირექტორის ბრძანებით.

4. SAFA-ს ინსპექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება სააგენტოს შესაბამისი ნორმატიული აქტით.

5. სააგენტო უფლებამოსილია, სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, მოიწვიოს ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 23 მაისის ბრძანება №79 - ვებგვერდი, 24.05.2013წ.

მუხლი 3. ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. პილოტი-ინსპექტორის (თვითმფრინავი) (OPS-FOI) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი ან პროფესიული საავიაციო განათლება პილოტის სპეციალობით;

ბ) საფრენოსნო მუშაობის არანაკლებ 10-წლიანი, მათ შორის, საერთაშორისო ავიახაზებზე ფრენის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება;

გ) მოქმედი პილოტის მოწმობა ინსტრუქტორის კვალიფიკაციით;

დ) სამოქალაქო ავიაციის სფეროში მოქმედი საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის, მისი დანართების (დანართები 2, 6), საერთაშორისო ორგანიზაციების (ICAO, EASA) შესაბამისი დოკუმენტების, ევრორეგულაციების, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტების, რეკომენდებული პრაქტიკის ცოდნა.

2. პილოტი-ინსპექტორის (ვერტმფრენი) (OPS-FOI) მოთხოვნები:

ა) უმაღლესი ან პროფესიული საავიაციო განათლება პილოტის სპეციალობით;

ბ) საფრენოსნო მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება;

გ) მოქმედი პილოტის მოწმობა ინსტრუქტორის კვალიფიკაციით;

დ) სამოქალაქო ავიაციის სფეროში მოქმედი საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის, მისი დანართების (დანართები 2, 6) საერთაშორისო ორგანიზაციების (ICAO, EASA) შესაბამისი დოკუმენტების, ევრორეგულაციების, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტების, რეკომენდებული პრაქტიკის ცოდნა.

3. საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტების ინსპექტორი (OPS) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) შესაბამისი უმაღლესი განათლება;

ბ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;

გ) ავიასაწარმოების სერტიფიცირებასთან დაკავშირებული საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის, მისი შესაბამისი დანართების, საერთაშორისო ორგანიზაციების (ICAO, EASA) შესაბამისი დოკუმენტების, ევრორეგულაციების, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტების, რეკომენდებული პრაქტიკის ცოდნა.

4. ექიმი – ინსპექტორის/ავიასამედიცინო შემფასებლის (MED) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი სამედიცინო განათლება;

ბ) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი (მოქმედი);

გ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი და საავიაციო მედიცინის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება;

დ) საავიაციო მედიცინასთან დაკავშირებული საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის, მისი დანართების (დანართი 1), საერთაშორისო ორგანიზაციების (ICAO, EASA) შესაბამისი დოკუმენტების (Doc. 8984, EU-FCL-3), ევრორეგულაციების, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტების, რეკომენდებული პრაქტიკის ცოდნა.

5. ავიასპეციალისტების სერტიფიცირების ინსპექტორის (PEL) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი საავიაციო განათლება;

ბ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;

გ) ავიასპეციალისტების სერტიფიცირებასთან დაკავშირებული საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის, მისი დანართების (დანართი 1), საერთაშორისო ორგანიზაციების (ICAO, EASA) შესაბამისი დოკუმენტების (EU №1178/2011, EC №2042/2003 (Part-66), EU №805/2011, ESSAR 5), ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტების, რეკომენდებული პრაქტიკის ცოდნა.

6. სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულებების ინსპექტორის (ATO) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება და ავიაციის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება;

გ) სასწავლო დაწესებულებების სერტიფიცირებასთან დაკავშირებული საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის, მისი დანართების (დანართი 1), საერთაშორისო ორგანიზაციების (ICAO, EASA) შესაბამისი დოკუმენტების (EU № 1178/2011, EC № 2042/2003 (Part-66, Part-147), EU №805/2011, ESSAR 5), ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტების, რეკომენდებული პრაქტიკის ცოდნა;

7. საფრენად ვარგისობის შენარჩუნების ზედამხედველობის (AIR) ინსპექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი საავიაციო განათლება ინჟინრის სპეციალობით;

ბ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება;

გ) საჰაერო ხომალდების საფრენად ვარგისობასთან დაკავშირებული საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის და მისი დანართების (დანართები 1, 6, 8, 13), საერთაშორისო ორგანიზაციების (ICAO, EASA) შესაბამისი დოკუმენტების (Doc. 9760, Basic Regulation EC №216/2008, Regulation EC №2042/2003 (Part-66, Part-145, Part-M Part-147), EC № 1702/2003 (Part-21), ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტების, რეკომენდებული პრაქტიკის ცოდნა.

8. აეროდრომების ინსპექტორის (AGA) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება ინჟინრის, მშენებლის ან ელექტრიკოსის სპეციალობით;

ბ) ავიასაწარმოში შესაბამისი სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;

გ) შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის და მისი დანართების (დანართი 14), საერთაშორისო ორგანიზაციების (ICAO, EASA, ECAC) შესაბამისი დოკუმენტების (Doc.9774), სახელმძღვანელო მასალების (Guidance Material), ევრორეგულაციების, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტების, რეკომენდებული პრაქტიკის ცოდნა.

9. სახიფათო ტვირთების გადაზიდვის ინსპექტორის (DG) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება (საავიაციო განხრით);

ბ) სამოქალაქო ავიაციაში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;

გ) საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვებთან, მათ შორის, სახიფათო ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებული საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის და მისი დანართების (დანართი 18), საერთაშორისო ორგანიზაციების (ICAO, EASA) შესაბამისი დოკუმენტების (Doc. 9284 An/905, Doc. 9481 A n/928), ევრორეგულაციების, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტების, რეკომენდებული პრაქტიკის ცოდნა.

10. საავიაციო უშიშროების ინსპექტორის (AVSEC) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) საავიაციო უშიშროების კუთხით მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება ან სამოქალაქო ავიაციის სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება;

გ) საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის და მისი დანართების, საერთაშორისო ორგანიზაციების (ICAO, EASA, ECAC) შესაბამისი დოკუმენტების (ICAO Annex17, ICAO Doc.30), დადგენილი საერთაშორისო სტანდარტების (ECAC, ICAO, EU), რეკომენდებული პრაქტიკის ცოდნა;

11. საჰაერო მოძრაობის ორგანიზების ინსპექტორის (ATM) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი საავიაციო განათლება;

ბ) საერნაოსნო მომსახურების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;

გ) მოქმედი სააერნაოსნო მომსახურების მეთვალყურის მოწმობა;
დ) საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის, მისი დანართების (დანართები 2, 11, 15), საერთაშორისო ორგანიზაციების (ICAO, EASA, Eurocontrol) შესაბამისი დოკუმენტების, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტების და რეკომენდებული პრაქტიკის ცოდნა.

12. კავშირგაბმულობის, სანავიგაციო და რადიოსალოკაციო მომსახურების ინსპექტორის (CNS) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი საავიაციო ან ტექნიკური განათლება;
ბ) საერნაოსნო მომსახურების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;
გ) საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის, მისი დანართების (დანართები 10, 11), საერთაშორისო ორგანიზაციების (ICAO, EASA, Eurocontrol) შესაბამისი დოკუმენტების, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტების და რეკომენდებული პრაქტიკის ცოდნა.

13. მეტეოროლოგიური მომსახურების ინსპექტორის (MET) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი ტექნიკური ან საბუნებისმეტყველო განათლება;
ბ) საერნაოსნო მომსახურების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;
გ) საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის, მისი დანართების (დანართი 3), საერთაშორისო ორგანიზაციების (ICAO, EASA, Eurocontrol, WMO) შესაბამისი დოკუმენტების, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტების და რეკომენდებული პრაქტიკის ცოდნა.

14. საერნაოსნო ინფორმაციით მომსახურების ინსპექტორის (AIS) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;
ბ) საერნაოსნო მომსახურების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;
გ) საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის, მისი დანართების (დანართები 11, 15), საერთაშორისო ორგანიზაციების (ICAO, EASA, Eurocontrol) შესაბამისი დოკუმენტების, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტების და რეკომენდებული პრაქტიკის ცოდნა.

15. ფრენის პროცედურების დიზაინის ინსპექტორის (PANS-OPS) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი ან პროფესიული საავიაციო განათლება;
ბ) საერნაოსნო მომსახურების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;
„გ) საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის, მისი დანართების (დანართები 4, 15), საერთაშორისო ორგანიზაციების (ICAO, EASA, Eurocontrol) შესაბამისი დოკუმენტების, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტების და რეკომენდებული პრაქტიკის ცოდნა.

16. საავიაციო რუკების ინსპექტორის (Cartographic) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი ან პროფესიული საავიაციო განათლება;
ბ) საერნაოსნო მომსახურების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;
„გ) საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის, მისი დანართების (დანართები 4, 15), საერთაშორისო ორგანიზაციების (ICAO, EASA, Eurocontrol) შესაბამისი დოკუმენტების, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტების და რეკომენდებული პრაქტიკის ცოდნა.

17. საავიაციო ძებნა-შველის ინსპექტორის (SAR) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი ან პროფესიული საავიაციო განათლება;
ბ) საავიაციო ძებნა-შველის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;
გ) საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის, მისი დანართების (დანართები 2, 11, 12), საერთაშორისო ორგანიზაციების (ICAO, EASA, Eurocontrol) შესაბამისი დოკუმენტების, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტების, რეკომენდებული პრაქტიკის ცოდნა.

18. საწაფის ინსპექტორის (FSTD-OPS) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) საავიაციო განათლება პილოტის სპეციალობით;
ბ) საფრენოსნო მუშაობის არანაკლებ 3 - წლიანი გამოცდილება;
გ) სამოქალაქო ავიაციის სფეროში მოქმედი საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის, მისი დანართების (დანართები 1, 6), საერთაშორისო ორგანიზაციების (ICAO, EASA) შესაბამისი დოკუმენტების (Doc 9625, CS-FSTD (A/H) ცოდნა.

19. საწაფის ინსპექტორის (FSTD-AIR) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) საავიაციო განათლება საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების სპეციალისტის სპეციალობით;
ბ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;
გ) სამოქალაქო ავიაციის სფეროში მოქმედი საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის, მისი დანართების

(დანართები 1, 6, 8), საერთაშორისო ორგანიზაციების (ICAO, EASA) შესაბამისი დოკუმენტების (Doc 9625, CS-FSTD (A/H) ცოდნა.

20. უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატანტის ინსპექტორის (UAS) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი საინჟინრო ან პროფესიული განათლება საჰაერო ხომალდის საფრენოსნო ან ტექნიკური ექსპლუატაციის (პილოტის ან ავიატექნიკოსის) სპეციალიზაციით;

ბ) უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატაციის სამწლიანი გამოცდილება.

21. საჰაერო ხომალდის სპეციალიზებული ექსპლუატაციის ინსპექტორის (SPO) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი ან პროფესიული განათლება საჰაერო ხომალდის საფრენოსნო ან ტექნიკური ექსპლუატაციის (პილოტის ან ავიატექნიკოსის) სპეციალობით, ან შესაბამისი სპეციალიზაციით სწავლების დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატი

ბ) ავიასაწარმოში მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება.

22. ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის საფრენოსნო ექსპლუატაციის და ექსპლუატანტის სერტიფიცირების ინსპექტორის (ULA–OPS) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი ან პროფესიული საინჟინრო განათლება საჰაერო ხომალდის საფრენოსნო ან ტექნიკური ექსპლუატაციის (პილოტის ან ავიატექნიკოსის) სპეციალიზაციით;

ბ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება.

23. საერთო დანიშნულების ავიაციის ინსპექტორის (GAU) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი ან პროფესიული საინჟინრო განათლება საჰაერო ხომალდის საფრენოსნო ან ტექნიკური ექსპლუატაციის (პილოტის ან ავიატექნიკოსის) სპეციალიზაციით;

ბ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება.

24. ზემსუბუქი საჰაერო ხომალდების ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობის სერტიფიცირების ინსპექტორის (ULA–FCL) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი ან პროფესიული განათლება, სასურველია საჰაერო ხომალდის საფრენოსნო ან ტექნიკური ექსპლუატაციის (პილოტის ან ავიატექნიკოსის) სპეციალიზაციით;

ბ) სააგენტოში შესაბამისი მიმართულებით მუშაობის არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 21 სექტემბრის ბრძანება №150 - ვებგვერდი, 22.09.2017წ.
სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №190 - ვებგვერდი, 02.10.2018წ.
სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №228 - ვებგვერდი, 04.12.2018წ.
სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 12 ივლისის ბრძანება №138 - ვებგვერდი, 16.07.2019წ.
სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 26 ნოემბრის ბრძანება №185 - ვებგვერდი, 01.12.2020წ.